

## საქართველოს მობილური ოპერატორების მომგებიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ასპექტები

**გედა წითელაშვილი**  
თსუ დოქტორი

წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოს სატელეკომუნიკაციო დახვის წამყვანი მობილური ოპერატორების მომგებიანობის კვლევა და ანალიზი და აღნიშნულის შედეგად შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანია საანალიზო საწახმოების მომგებიანობის მაჩვენებლები. კვლევის ობიექტია საქართველოში სატელეკომუნიკაციო დახვის წამყვანი კომპანიები.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილია კომპანიების მომგებიანობის ცვალებადობის ტენდენციები, მისი ცვლილებების გამომწვევი ფაქტორები და შემუშავებულია მომგებიანობის სტაბილურობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები.

**საკვანძო სიტყვები:** მოგება, მომგებიანობა, ფაქტორული ანალიზი, მომგებიანობის ფაქტორული მოდელი.

მომგებიანობა ბიზნესის უპირველესი მიზანია. მომგებიანობის გარეშე კომპანიის განვითარება და საერთოდ, გადარჩენა გრძელვადიან პერიოდში შეუძლებელია, შესაბამისად, ამა თუ იმ კომპანიის მენეჯმენტისათვის წარსული მომგებიანობის ანალიზის საფუძველზე სამომავლო მომგებიანობის ამაღლების ადეკვატური გადაწყვეტილებების შემუშავება მუდამ მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

რაც შეეხება საკვლევი კომპანიების დარგის თავისებურებებს, საქართველოში სატელეკომუნიკაციო დარგის განვითარება 1999 წლიდან იწყება. აღსანიშნავია, რომ ამ დროიდან მოყოლებული ქართულ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მარეგულირებელ ორგანოდ საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია გვევლინება. ხოლო, შპს „მაგთიკომი“ იყო საქართველოში პირველი მობილური ოპერატორი, რომელიც 1996 წლის 12 თებერვალს დაარსდა. მისი სერვისები მოიცავს: მობილურ ტელეფონებს, მობილურ ინტერნეტს (მოიცავს მობილური ქსელის განვითარების ყველა ტექნოლოგიას: 2G, 2.5G, 3G, 3.5G, 4G, 4.5G); სადენიან ფიქსირებულ ტელეფონიას (VoIP); სატელიტურ ტელევიზიას (ბრენდი „მაგთისატი“, 2012 წლიდან; საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში პირველი ოპერატორი); ინტერნეტ ტელევიზიას (IPTV) (2016 წლიდან) და ოპტიკურ-ბოჭკოვან ინტერნეტს (2016 წლიდან). მეორე მობილური ოპერატორი არის - შპს „ჯეოსელი“, რომელიც, შპს „მაგთიკომის“ მსგავსად 1996 წელს დაფუძნდა. 2018 წელს საქართველოს საკომუნიკაციო დარგში უმსხვილესი ტრანსაქციის შედეგად შპს „ჯეოსელი“ ქვეყნის უდიდესი სატელეკომუნიკაციო კომპანიის, სს „სილქნეტის“ შვილობილი კომპანია გახდა. ტრანსაქციების ღირებულებამ 153 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მესამე და ჯერ-ჯერობით უკანასკნელი მობილური ოპერატორი შპს „ვიონი საქართველო“ გახდა, რომელმაც ბრენდი „ბილაინის“ მეშვეობით პირველი კომერციული მობილური კავშირი 2007 წლის 15 მარტს დაამყარა. მას შემდეგ კომპანია დინამიურად ვითარდება და სადღეისოდ მის 1.3 მილიონ მომხმარებელს უზრუნველყოფს უსადენო სატელეფონო მომსახურებით.

წინამდებარე სტატიაში გამოკვლეულია ჩამოთვლილი კომპანიების მომგებიანობის შეფასება და მისი შემდგომი ამაღლების ღონისძიებების შემუშავება.

## მოგებისა და მომგებიანობის თეორიული ასპექტები

თეორიული თვალსაზრისით, მოგება არის კომპანიის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა. იგი არის საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი. საწარმოს შემოსავლის გამომუშავება შეუძლია სხვადასხვა ბიზნეს საქმიანობიდან, რომელთაგან უმთავრესი საკუთარი პროდუქციის ან მომსახურების რეალიზაციაა. რაც შეეხება კომპანიის ხარჯებს, ისინი წარმოიქმნება კომპანიის სხვადასხვა ტიპის აქტივობის შედეგად, როგორცაა წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის ან მომსახურების თვითღირებულება.

აღსანიშნავია, რომ მომგებიანობის განმარტება შესაძლებელია, როგორც სააღრიცხვო მოგების, ასევე ეკონომიკური მოგების მაჩვენებლების მეშვეობით. კომპანიები საკუთარი მოგების გაანგარიშებისას ე.წ. **სააღრიცხვო მოგების** წესს იყენებენ, რომელიც გულისხმობს იმას, რომ კომპანიამ მოგება უნდა გამოთვალოს აღრიცხვის საერთაშორისო სტანდერტების მეთოდის შესაბამისად აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით. სააღრიცხვო მოგების უპირატესობა ის არის, რომ იგი საშუალებას აძლევს მენეჯმენტს, მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლები შეუდაროს როგორც წინა წლების, ასევე სხვა საწარმოების მაჩვენებლებს.

რაც შეეხება **ეკონომიკურ მოგებას**, აღნიშნული გამოითვლება კომპანიის შემოსავლებიდან არა მარტო რეალური, ხილული ხარჯების გამოკლებით, არამედ აგრეთვე სხვადასხვა ალტერნატიული დანახარჯის გათვალისწინებითაც, რომელიც გულისხმობს კომპანიის მიერ ხელიდან გაშვებულ სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობებიდან მისაღებ უკუგებას. ეკონომიკური მოგების მნიშვნელობა ისაა, რომ იგი ქმინის საწარმოს მოგების უფრო ზუსტ და ყოვლისმომცველ სურათს უფრო სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

**მომგებიანობა ახასიათებს** რესურსების გამოყენების ხარისხს, მათ ეფექტიანობას. თეორიასა და პრაქტიკაში მომგებიანობის მრავალი მაჩვენებელი გამოიყენება (იხ. დიაგრამა 2). ბიზნესისი წარმატების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება მომგებთან ზრდაა. როგორც ცნობილია, ორ საწარმოს შორის ისაა უფრო ეფექტიანი, რომლის მომგებიანობაა მაღალი და არა მოგების მოცულობა.

### საანალიზო კომპანიების მომგებიანობის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები

საანალიზო კომპანიებთან მიმართებაში დავინტერესდით, განგვეხილა აქტივების საერთო ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლის (PTA) ფაქტორული ანალიზი რვა ფაქტორიანი მოდელის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია ქართველი ეკონომისტის ი. ჭილაძის მიერ დიუპონტის მოდელირების მეთოდის გამოყენებით. ამ მოდელის საფუძველზე მიზნად დავისახეთ საკვლევი კომპანიების რესურსების მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენების გაზომვა და უარყოფითი ფაქტორების გავლენების აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება.

$$PTA = \frac{P}{TA} = \frac{P}{OP} \times \frac{OP}{PS} \times \frac{PS}{S} \times \frac{S}{CS} \times \frac{CS}{OEx} \times \frac{OEx}{(MM + CA)} \times \frac{(MM + CA)}{Ow.C} \times \frac{Ow.C}{TA}$$

$\frac{P}{TA}$  - არის აქტივების მომგებიანობა, დაბეგვრამდე მოგების ანუ წლიური მოგების ფარდობა მთლიანი აქტივების საშუალო წლიურ ღირებულებასთან.


#### აღნიშნულ მოდელში წარმოდგენილია შემდეგი ფაქტორები:

- $\frac{P}{OP}$  - **წლიური მოგების კოეფიციენტი** - წლიური მოგების (მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა საოპერაციო მოგებასთან. ეს კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მით დაბალია მოგების გადასახადის ტვირთი და სხვა თანაბარ პირობებში, რაც ზრდის საწარმოს საერთო ეკონომიკურ მომგებიანობას.


- $\frac{OP}{PS}$  - **საოპერაციო მოგების კოეფიციენტი** - საოპერაციო მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან. ასევე, ეს კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მით უფრო მაღალია მართვისა და მომსახურების ხარჯების ეფექტიანობა, დაბალია საოპერაციო რისკი და მაშასადამე, იზრდება მოგება.
- $\frac{PS}{S}$  - **საერთო მოგების მარჟა** - რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან. იგი არის მოგების მარჟა ანუ მოგების ნორმა და მისი ზრდა აქტივების მომგებიანობის ზრდას იწვევს.
- $\frac{S}{CS}$  - **დანახარჯების შემოსავლიანობა** - რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ფარდობა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან. იგი ახასიათებს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ერთეულზე მიღებული შემოსავლის დონეს ანუ სანარმოო ხარჯების უკუგებას.
- $\frac{OEx}{CS}$  - **სანარმოო ხარჯების წილი საოპერაციო ხარჯებში** - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფარდობა საოპერაციო ხარჯებთან. იგი ახასიათებს სანარმოო ხარჯების წილს საოპერაციო ხარჯებში. მისი ზრდა, წარმოების მოცულობის ზრდაზე მიუთითებს და სხვა თანაბარ პირობებში მოგებასა და მომგებიანობის მოსალოდნელ სიდიდეს ზრდის. ხოლო, მისი შემცირება საოპერაციო რისკების ზრდაზე მიანიშნებს.
- $\frac{OEx}{MM+CA}$  - **ავანსირებული ღირებულების წრებრუნვა** - საოპერაციო ხარჯების ფარდობა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების საშუალოწლიურ ღირებულებასთან. იგი არის რესურსებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის ანუ ბიზნესის აქტივობის მაჩვენებელი. რაც უფრო დროულად დაიხარჯება რესურსები და არ შეფერხდება მათი ბრუნვა, ეს კოეფიციენტი მითი უფრო მაღალი იქნება და მით უფრო გაზრდის მომგებიანობის მოსალოდნელ დონეს.
- $\frac{MM+CA}{Ov.C}$  - **საკუთარი კაპიტალის ბრუნვა** - ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების საშუალოწლიური ღირებულების ფარდობა საკუთარი კაპიტალის საშუალო წლიურ ღირებულებასთან. იგი ახასიათებს რესურსებში ავანსირებული ღირებულების დონეს საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე.
- $\frac{Ov.C}{TA}$  - **ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი** - საკუთარი კაპიტალის საშუალოწლიური ღირებულების ფარდობა აქტივების საშუალოწლიურ ღირებულებასთან. იგი არის საკუთარი კაპიტალის წილის კოეფიციენტი აქტივებში ანუ (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი). მისი ზრდა მიანიშნებს, რომ სანარმოს აქტივების დაფინანსების წყაროებში მცირდება სესხების წილი და შესაბამისად საპროცენტო ხარჯების მოცულობაც, რაც ხელს უწყობს როგორც მოგების, ასევე აქტივების მომგებიანობის დონის ზრდას.

ეს ფაქტორ-მაჩვენებლები ასევე ლევერიჯის ცვლილებაზეც მიანიშნებენ. მათი ზრდა ამცირებს საოპერაციო და ფინანსურ ლევერიჯს ანუ რისკებს.

აღნიშნულ მოდელზე დაყრდნობით, შპს „მაგთიკომისთვის“, სს „სილქნეტისთვის“ და შპს „ვიონი საქართველოსთვის“ მოცემული მოდელი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში და დიაგრამებში.



დიაგრამა 1. საანალიზო საწარმოების აქტივების მომგებიანობის კოეფიციენტის დინამიკა



დიაგრამა 2. საანალიზო საწარმოების ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის დინამიკა

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია საანალიზო საწარმოების მომგებიანობის მაშვნებლები პანდემიამდე (2017) და პანდემიის შემდგომ წლებში (2020) და აღნიშნულ წლებში მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა:

ცხრილი 1. საანალიზო საწარმოების აქტივების მომგებიანობის ფაქტორული მოდელი

მაჩვენებლები	პანდემიამდე - 2017 წელი			პანდემიის შემდეგ - 2020 წელი		
	მათიკომი	სილქნეტი	ვიონი საქართველო	მათიკომი	სილქნეტი	ვიონი საქართველო
<b>აქტივების მომგებიანობა (P/TA)</b>	0.0894	0.0717	-0.2543	0.1790	-0.1022	-0.786
<b>ფაქტორები :</b>						
<b>1. P/OP</b>	0.848	0.5829	1.9216	1.0290	-1.0916	-4.6143
<b>2. OP/PS</b>	0.6491	0.4127	-1.6797	0.8393	0.4773	0.4806
<b>3. PS/S</b>	0.335	0.4356	0.1328	0.4656	0.4414	0.3944
<b>4. S/CS</b>	1.5037	1.7719	1.1532	1.8712	1.7901	1.6513
<b>5. CS/OEx</b>	5.6576	2.2059	2.4363	7.1422	2.4213	2.9562
<b>6. Oex/(MM+CA)</b>	0.1007	0.2214	0.386	0.0619	0.1979	0.2886
<b>7. (MM+CA)/Ov.C</b>	1.039	2.0202	-1.0498	0.6638	-28.3116	-0.1922
<b>8. Ov.C/TA</b>	0.5446	0.3912	-0.5211	0.8102	-0.0183	-3.3186

**ცხრილი 2. მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენები პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ 2020 წელს 2017 წელთან შედარებით**

მაჩვენებლები	მაგთიკომი	სილქნეტი	ვიონი საქართველო
<b>აქტივების მომგებიანობის ცვლილება</b>	0.0896	-0.1739	-0.5317
<b>ფაქტორთა გავლენა :</b>			
<b>1. წლიური მოგების კოეფიციენტი</b>	0.0191	-0.2059	0.8651
<b>2. საოპერაციო მოგების კოეფიციენტი</b>	0.0318	-0.0210	-0.7855
<b>3. საერთო მოგების მარჟა</b>	0.0547	-0.0020	-0.3441
<b>4. დანახარჯების შემოსავლიანობა</b>	0.0477	-0.0016	-0.2241
<b>5. სანარმოო ხარჯების წილი საოპერაციო ხარჯებში</b>	0.0637	-0.0155	-0.1585
<b>6. ავანსირებული ღირებულების წრებრუნვა</b>	-0.1180	0.0185	0.2274
<b>7. საკუთარი კაპიტალის ბრუნვა</b>	-0.0680	2.3409	0.5506
<b>8. ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი</b>	0.0587	-2.2873	-0.6626

როგორც ვხედავთ, შპს „მაგთიკომისათვის“ აქტივების მომგებიანობა მთელი საანალიზო პერიოდის მანძილზე დამატებით დადებითად მზარდია, რასაც აგრეთვე ადასტურებს შესაბამისი ფაქტორული მაჩვენებლების დინამიკაც. კერძოდ შესაბამისი ფაქტორული ინდექსებიდან მხოლოდ ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის და საკუთარი კაპიტალის ბრუნვის ინდექსმა განიცადა საანალიზო პერიოდში შემცირება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენი ფაქტორების დამატებითი გაუმჯობესების გამო აქტივების ზოგადი მომგებიანობის მაჩვენებელიც წლიდან წლამდე უმჯობესდება. სამწუხაროდ იგივეს ვერ ვიტყვით სს „სილქნეტის“ მომგებიანობის მაჩვენებლებზე, რომელიც საანალიზო პერიოდის განმავლობაში წლიდან დრამატულ გაუარესებას განიცდის. მოდელში ნაჩვენებ ფაქტორებიდან მხოლოდ საოპერაციო მოგების, საერთო მოგების, დანახარჯების შემოსავლიანობის და საოპერაციო ხარჯებში სანარმოო ხარჯების წილის კოეფიციენტმა განიცადა ზრდა, ხოლო დანარჩენი ფაქტორები გაუარესდა. აღნიშნული გამოწვეულია კომპანიის მიერ შპს „ჯეოსელის“ შესაძენად გამოშვებული სოლიდური ღირებულების მქონე ობლიგაციების გამო, რომელსაც ბუნებრივია სოლიდური საპროცენტო ხარჯები და უარყოფითი საკურსო სხვაობები ახლავს ლარის დევალვაციის გამო. აღნიშნული ორი მიზეზის ერთობლიობა იწვევს კომპანიის დაბეგვრამდე მოგების და შესაბამისად მომგებიანობის მაჩვენებლის გაუარესებას. აგრეთვე აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული ფაქტორების ფონზე კომპანიის საოპერაციო მოგება და საოპერაციო მარჟა საანალიზო პერიოდის განმავლობაში სტაბილურად იზრდება, თუმცა ზემოთხსენებული უარყოფითი ფაქტორების ფონზე კომპანია წმინდა ზარალს აჩვენებს საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რაც შეეხება კომპანიას - „ვიონი საქართველო“, ზემოთ გამოთვლილი ფაქტორული მონაცემებიდან ჩანს, რომ კომპანია მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში წამგებიანია. საანალიზო პერიოდში კომპანიის საოპერაციო მოგების, საერთო მოგების, დანახარჯების შემოსავლიანობის, საოპერაციო ხარჯებში სანარმოო ხარჯების წილის და საკუთარი კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტმა განიცადა ზრდა. განსაკუთრებით საყურადღებოა 2018 წელი, როდესაც კომპანიის აქტივების უკუგება -148% იყო. აღნიშნული გამოიწვია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წელს აღიარებულმა გაუფასურების ზარალმა, რომელმაც 131,000 ათასი ლარი შეადგინა, რომლის შედეგადაც კომპანიამ ჯერ კიდევ საოპერაციო შედეგების დონეზე ზარალი განიცადა. 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ხარჯი მხოლოდ 631 ათასი ლარი იყო, რომლის შედეგადაც კომპანიამ 25,550 ათასი ლარის

საოპერაციო მოგება დააფიქსირა, თუმცა ფინანსური ხარჯების და კურსთაშორისი სხვაობების დიდი მოცულობის გამო წმინდა მოგება ყოველ წელს უარყოფითი იყო, რაც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში არის ნაჩვენები.

## დასკვნა

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ პანდემიამდე პერიოდში სს „სილქნეტის“ და შპს „ვიონი საქართველოს“ მომგებიანობა უფრო მაღალი იყო ვიდრე პანდემიის შემდგომ პერიოდში, რომლის დროსაც კომპანიის მთელი რიგი ფაქტორები გაუარესებას განიცდის. კომპანიის მომგებიანობა არასდროს არ არის დამოკიდებული ერთ ცვლადზე. იგი არის სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენის შედეგი. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა შემდეგი : საანალიზო პერიოდში მომგებიანობა მერყევია, კომპანიები ზოგჯერ ზარალიანია, ფინანსური დამოუკიდებლობა სს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“ დაკარგული აქვთ. რაც შეეხება შპს „მაგთიკომს“, მისი მომგებიანობა საანალიზო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გამომწვეულია კომპანიის ხარჯების სწორი მართვით.

მომგებიანობის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- აღსანიშნავია, რომ წამგებიანი საანალიზო კომპანიების ზარალი უმეტესწილად გამომწვეულია დიდი საპროცენტო ხარჯების და საკურსო ზარალის გამო. შესაბამისად აუცილებელია, რომ კომპანიებმა შეიმუშავონ აღნიშნული ხარჯების ოპტიმიზაციის ხერხები ან მოძებნონ კომპანიის დაფინანსების შედარებით იაფი მეთოდები.
- რაც შეეხება საოპერაციო ხარჯებს, აუცილებელია, რომ კომპანიებმა მოძებნონ მათი ეფექტურად მართვის ხერხები, რაც კომპანიებს უფრო მეტ მოქნილობას და სახსრების მომგებიანად დაბანდების შესაძლებლობას მისცემს.
- აგრეთვე აუცილებელია, რომ კომპანიის მენეჯმენტმა მომგებიანობის ანალიზის დროს ყოველთვის გამოიყენოს მრავალფაქტორული მოდელი. ჩვენს შემთხვევაში მოდელი 8 ფაქტორისაგან შედგება, რომელიც მიმოიხილავს კომპანიის მომგებიანობის ყველა ასპექტს, დაწყებული კომპანიის მოგების კოეფიციენტებით და დამთავრებული ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტით.

## ლიტერატურა:

1. კომუნიკაციების კომისიის შესახებ : <https://comcom.ge/ge/the-commission/about-commission>
2. “სილქნეტის” და „ჯეოსელის“ გაერთიანება : [https://silknet.com/?module=news&id=165&type\\_id=1&language=ge](https://silknet.com/?module=news&id=165&type_id=1&language=ge)
3. სს “სილქნეტი”, 2016-2020 წლების ფინანსური ანგარიშგება, [www.reportal.ge](http://www.reportal.ge)
4. სს “სილქნეტი”, კომპანიის შესახებ : <https://www.silknet.com/?module=management&language=ge>
5. შპს “ვიონი საქართველო”, 2016-2020 წლების ფინანსური ანგარიშგება, [www.reportal.ge](http://www.reportal.ge)
6. შპს “ვიონი საქართველო”, კომპანიის შესახებ : <https://beeline.ge/ka/about-us/about-company>
7. შპს “მაგთიკომი”, 2016-2019 წლების ფინანსური ანგარიშგება, [www.reportal.ge](http://www.reportal.ge)
8. შპს “მაგთიკომი”, კომპანიის შესახებ : <https://www.magticom.ge/ka/about-company>
9. ქილაძე, ი. ფინანსური ანალიზი, მესამე გადამუშავებული გამოცემა. თბ., 2018
10. Penman, S.H. (2013). Financial Statements analysis and security valuation (International Edition).
11. Peterson, P.P & Fabozzi F.J. (1999). Analysis of Financial Statements. Published by Frank J. Fabozzi Associates
12. Economic Profit vs. Accounting: What's the Difference? <https://www.investopedia.com/ask/>

- answers/033015/what-difference-between-economic-profit-and-accounting-profit.asp
13. Hofstrand, D. (2013). Cash Flow and Profitability are Not the Same. Iowa State University. Retrieved from : <https://www.extension.iastate.edu/agdm/wholefarm/html/c5-213.html>
  14. What are Profitability Ratios? <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/finance/profitability-ratios/>
  15. Chiladze, I. (2018). Theoretical and Practical Aspects of Profitability Factorial Analysis. 11th International Scientific Conference: Accounting and Finance: Science, Business and Public Sector Partnership. Journal: Science and Studies of Accounting and Finance: Problems and Perspectives, Volume 12, Number 1, pp. 12-18. 2018, <http://erd.asu.lt/ssaf/article/view/269>

## **Important Aspects of Enhancing Profitability of Georgian Mobile Operators**

**Gela Tsitelashvili**

*TSU PhD Student*

### **SUMMARY**

Aim of this article is to research and analyze of profitability of leading Georgian telecommunications companies and prepare respective conclusions and recommendations based on given research.

Subject of this research is profitability indicators of analytical enterprises. Object of this research is leading Georgian telecommunications companies.

Based on performed research tendency of companies' profitability changes and respective influencing factors are demonstrated and based on given analysis further profitability improvement and stability measures are stated.

Based on performed research and analysis, we identified, that during pre-pandemic period profitability of JSC "Silknet" and LLC "Vioni Georgia" was higher, than post pandemic period profitability, when most indicators of companies' profitability deteriorated, including gross profit margin and operating profit margin. Profitability is always depending on several variables and covariation between them. Performed research resulted with following conclusions: Profitability is variable during the analytical period, companies sometimes suffer with loss, JSC "Silknet" and LTD "Vioni Georgia" do not have financial independence. Regarding LLC "Magticom", its profitability during analytical period has improved significantly, which is caused due to correct cost management.

To improve profitability, following recommendations were established:

- It is necessary to note, that loss-making companies are suffering from high finance costs and foreign exchange losses. Therefore, it is vital, that companies implement methods of optimization of given expenses or seek alternative and less expensive source of financing.
- Regarding operating expenses, companies should seek more efficient methods of management operating expenses. This will give companies more flexibility and additional opportunity to invest free cash flows more profitably.
- As a conclusion, it is necessary to say, that companies should use multifactorial model, when assessing profitability of enterprise. In our case, model consists of eight variables, which reviews all aspects of enterprise profitability.

**Key words:** profitability, profit, factorial analysis, factorial analysis of profitability.